

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება #05-24

ქ. თბილისი

27 ივნისი 2019წ.

ერთის მხრივ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, წარმოდგენილი მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის ნინო ინჭირველის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „იუ-ჯი-თი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა, მიმწოდებლის წინადადებისა და ევროკავშირის (წარმოდგენილი საქართველოში ევროკომისიის სახით) გრანტის პროექტის „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა ნიშნულის უწყვეტი განხორციელებისთვის“ ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აგვისტოს #1715 განკარგულების, 2017 წლის 22 აგვისტოს ევროკავშირისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების დანართი #4-ში გათვალისწინებული შესყიდვის პროცედურების (შესყიდვა ბენეფიციარების მიერ გრანტის ფარგლებში ევროკავშირის საგარეო ქმედებების კონტექსტში) თანახმად, მოლაპარაკებათა წარმოების პროცედურის ჩატარების შედეგად (პრაქტიკული სახელმძღვანელოს მუხლი 4.2.3) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 1.1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც აწვდის შესყიდვის ობიექტს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.1.6 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის, ხელშეკრულების დანართი N1-ით (ტექნიკური დავალება) განსაზღვრული გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისის (API) მართვის სისტემის მიწოდებას (CPV-48732000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებათა ღირებულება შეადგენს 283045.00 (ორასოთხმოცდასამი ათას ორმოცდახუთი) ლარს.
- 3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება მოცემულია დანართი #2-ში (ფასების ცხრილი).
- 3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს გარდა დღგ-სა. დაფინანსების წყარო გათავისუფლებულია დღგ-საგან (საგადასახადო შედეგით მოსარგებლეთა

რესტრი, პროექტის დასახელება: „Supporting Public Service Development Agency to continuously implement all benchmarks under the Visa Liberalisation Action Plan“ („სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა ნიშნულის უწყვეტი განხორციელებისთვის“).

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, ხელშეკრულების თანახმად;
- ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გაცვლა აწარმოოს წერილობით;
- დახმარება აღმოუჩინოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებაში;
- ხელი შეუწყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინსპექტირების პროცესს და ინსპექტირების განმახორციელებელ ჯგუფს წარმოუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი და/ან მასალა.
- წარუდგინოს შემსყიდველს, ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები;
- დაიცვას და არ გაამჟღავნოს საინსტალაციო, საგარანტიო და ტექნიკური მხარდაჭერის სამუშაოების ჩატარებისას, შემთხვევით ან სამუშაო საჭიროების მიზნით მოპოვებული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სისტემების არსებული კონფიგურაციების და სხვა დეტალების შესახებ ინფორმაცია;
- მომწოდებელს ეკრძალება საგარანტიო ტექნიკური მხარდაჭერის სამუშაოების ჩატარებისას შესაბამის მოწყობილობებზე არსებული მონაცემების გადაწერა ან მესამე პირებისათვის გადაცემა ან სხვა რაიმე სახით დამუშავება, თუ ეს წერილობით (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით) არ არის მოთხოვნილი შემსყიდველის მიერ;
- არ გაამჟღავნოს საგარანტიო მხარდაჭერის სამუშაოების ჩატარებისას შემთხვევით ან სამუშაო საჭიროების მიზნით მიწოდებულ მოწყობილობებზე არსებული მონაცემების შესახებ შემთხვევით ან სამუშაო საჭიროების მიზნით მოპოვებული ინფორმაცია.
- შესყიდვის ობიექტის მოწოდებისას წარმოადგინოს შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მისი ექვივალენტი დოკუმენტი (უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თან უნდა ერთვოდეს ნოტარიალურად დამოწმებული ტექსტის თარგმანი ქართულ ენაზე) დედნის ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლის სახით.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად მიწოდებული მომსახურების ღირებულება;
- განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება განხორციელდება შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის მიერ.
- 5.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებენ და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კურდელაიძე (შესყიდვის ობიექტთან შესაბამისობის დადგება), ხოლო ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესყიდველის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნათია ხუჯაძე;

- 5.3. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ მომენტში, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით (მათ შორის შესაბამისი დარგის სპეციალისტების ან კომპანიის მოწვევის და/ან ექსპერტიზის ჩატარების გზით).
- 5.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილ დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს დაფარავს ვალდებულებების დამრღვევი მხარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განახორციელოს, ხელშეკრულების დანართი #1-ის (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში, ელექტრონული ფორმით - ინტერნეტში ჩამოტვირთვადი პაკეტის განთავსებით და შესაბამისი ბმულის ელ-ფოსტის (ელ. ფოსტის მისამართი: David.Kurdgelaidze@sda.gov.ge) საშუალებით შემსყიდველისათვის გადმოცემით. შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესახებ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია საქართველო, ქ. თბილისი;

8. ანგარიშსწორება

- 8.1. შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდა ხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევისა;
- 8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს საავანსო გადახდის გარანტია შემდეგი ფორმით: შემსყიდველის მიერ მოხდება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის წინასწარ გადარიცხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსოდ გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საავანსო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას. საავანსო ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 30 ივნისისა.
- 8.3. ავანსის გაცემის შემთხვევაში ავანსის დაფარვა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

9. ფასები

- 9.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:
 - საგადასახადო რეჟიმის შეცვლა (მაგალითად დ.ღ.გ და ა.შ.);
 - ინფლაციის მაღალი დონე;
- 9.2. ხელშეკრულების 9.1 პუნქტით დადგენილი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება აჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

- 10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება თუ:
 - 10.1.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
 - 10.1.2 მიმწოდებელი გაკოტრდა;

- 10.1.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 10.2. თუ მიმწოდებელი ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - 10.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს, ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისთვის პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველის სასარგებლოდ ეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით თანხის გადახდა.
 - 10.4. ხელშეკრულების დანართი №1-ის (ტექნიკური დავალება - დამატებითი მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ) გათვალისწინებული საგარანტიო ტექნიკური პირობებისთვის დადგენილი ვადების დარღვევისთვის, რისთვისაც რეაგირების პერიოდი განსაზღვრულია საათობრივად, მიმწოდებელს, ყოველი ვადაგადაცილებული საათისთვის პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველის სასარგებლოდ ეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით თანხის გადახდა.
 - 10.5. ხელშეკრულების დანართი №1-ის (ტექნიკური დავალება - დამატებითი მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ) გათვალისწინებული საგარანტიო ტექნიკური პირობებისთვის დადგენილი ვადების დარღვევისთვის, რისთვისაც რეაგირების პერიოდი განსაზღვრულია დღიურად, მიმწოდებელს, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველის სასარგებლოდ ეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით თანხის გადახდა.
 - 10.6. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს, ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისთვის პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებლის სასარგებლოდ ეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით თანხის გადახდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12. დავების გადაწყვეტა და გამოსაყენებელი სამართალი

- 12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
- 12.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
- 12.3. ხელშეკრულების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებით, მათ შორის სასამართლო დავის ფარგლებში გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული „დამატებითი მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ დანართი #1“-ით გათვალისწინებული ვადისა.

14. ფორს-მაჟორი

- 14.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პირგასამტეხლოს გამოყენებას, საბანკო გარანტიის დაუბრუნებლობა ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით, მათ შორის, სტიქიური უბედურებებით (როგორცაა ქარიშხალი, ზვავი, მეწყერი, გრიგალი, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა სტიქიური უბედურებები), აჯანყებებით, სამხედრო მოქმედებებით, ბლოკადებით და გაფიცვებით.

- 14.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია, მეორე მხარეს დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნული გარემოების წარმოშობის, მისი ხასიათის, და შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ.
- 14.3. თუ ზემოაღნიშნული შეტყობინება არ გაიგზავნა ხელშეკრულების 14.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, ფორს-მაჟორულ გარემოებაში მყოფი მხარე კარგავს უფლებას, ხელშეკრულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის დასასაბუთებლად გამოიყენოს ფორს-მაჟორული გარემოება, თუ შეტყობინების გაგზავნა შეუძლებელი არ გახდა ფორს-მაჟორული გარემოების გამო.
- 14.4. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების სახით, ხელშეკრულების 11.1 პუნქტის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

- 15.1. 15.1 საბანკო დაწესებულების მერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის (რომელიც ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს უნდა შეადგენდეს) მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

16. სხვა პირობები

- 16.1. ხელშეკრულებას თან ერთვის შემდეგი დანართები:
 - დანართი N1 - ტექნიკური დავალება;
 - დანართი N2 - ფასების ცხრილი;
 - დანართი N3 - პრეტენდენტის შემოთავაზება (CD-დისკი -1 ცალი);
- 16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელსა და შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო წარმოდგენილი მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის ნინო ინჭვირველის სახით,
 იურიდ/ფაქტ. მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №67ა,
 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
 ბანკის კოდი: TRESGE22
 №GE024NB0330100200165022
 ს/კ: 202307404



ნინო ინჭვირველი

მიმწოდებელი

შპს „იუ-ჯი-თი“ წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით,

მისამართ: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #17ა

სს „საქართველოს ბანკი“
 ბანკის კოდი: BAGAGE22
 ანგ. GE88BG0000000261644601
 ს/კ: 204892964



ერმილე სულაძე

ტექნიკური დავალება

სააგენტო დღეისათვის აწარმოებს და აწვდის 200-მდე სხვადასხვა ელექტრონულ სერვისებს სამთავრობო და კომერციული დაწესებულებებს.

2018 წლიდან მოყოლებული, სააგენტოს მიერ გაცემული ელექტრონული სანდო მომსახურება (როგორცაა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა, კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, დროის კვალიფიციური აღნიშვნა) ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებული, მასშტაბური ელექტრონული მომსახურებაა.

სააგენტო გეგმავს, გააფართოვოს შეთავაზებულ სანდო მომსახურებათა არეალი და დანერგოს ელექტრონულ დოკუმენტებზე განხორციელებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და შტამპის უტყუარობის დადგენის მომსახურება.

ელექტრონული სანდო მომსახურების კრიტიკულობიდან და მათზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, მათი ჯეროვანი მართვის, გაზიარების (სერვისის მომხმარებლებისათვის წვდომის დაშვება) და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სააგენტო გეგმავს, შეისყიდოს API მართვის სისტემა (API Management, სხვაგვარად API Gateway სისტემა).

ინფრასტრუქტურული მოთხოვნები

1. API Management სისტემა თავსებადი უნდა იყოს ვირტუალურ ინფრასტრუქტურასთან, კონკრეტულად Vmware ESX 6.5/6.7 ვერსიასთან;
2. API Management კომპონენტები თავსებადი უნდა იყოს კონტეინერების/Kubernetes გარემოსთან;
3. API Management სისტემას უნდა ქონდეს კლასტერული გარემოში სრულფასოვანი ფუნქციონირების საშუალება;
4. სისტემის სკალირება უნდა იყოს შესაძლებელი ჰორიზონტალურად (ახალი სერვერების დამატებით) და ვერტიკალურად (არსებული სასერვერო რესურსების გაძლიერებით);
5. API Management ან მისი კომპონენტების განთავსება უნდა იყოს შესაძლებელი როგორც Cloud გარემოში ასევე ლოკალურად, სააგენტოს მონაცემთა დამუშავების ძირითად და სარეზერვო ცენტრებში;
6. API Management სისტემის წარმადობა გათვლილი უნდა იყოს 70 API Calls/წამში;

ფუნქციონალური მოთხოვნები

- ✓ შემოთავაზებულ API Management სისტემას უნდა გააჩნდეს შემდეგი საშუალება:
 - API სერვისების და მოთხოვნების (calls) უსაფრთხოება;
 - API კოდის მართა/შექმნის/გამოქვეყნების სიცოცხლის ციკლის მართვა (lifecycle management);
 - ადვილად ინტეგრირებადი არსებულ გარემოში;
 - დეველოპერების საერთო მუშაობის უზრუნველყოფა და დოკუმენტირება ;
 - API მონეტიზაცია;
 - API მოთხოვნების (calls) ანალიზის საშუალება;

- ✓ API (სტანდარტები SOAP, REST, JSON) სრული სიცოცხლის ციკლის მართვა და კონტროლი, ვერსიების მართვა საწყისი ეტაპიდან - კოდის სიცოცხლის ბოლომდე;
- ✓ სისტემას უნდა გააჩნდეს API-ების ვერსიონირება. მაგ. სერვისის კოდში ახალი ველის დამატების შემდეგ, სისტემას უნდა შეეძლოს ახალი API გამოქვეყნება ისე რომ არსებული/ძველი სერვისის ფუნქციონირება არ იყოს შეფერხებული;
- ✓ სისტემას უნდა გააჩნდეს API ვერსიების ტესტირების, ადაპტაციის, გაზიარების და rollback-ის საშუალება;
- ✓ API გამოყენების მართვა და მონიტორინგი, გამოყენების ანალიტიკის და რეპორტების ჩათვლით;
- ✓ API სპეციფიკაციის შექმნის საშუალება Swagger 2.0 საშუალებით;
- ✓ სისტემას უნდა გააჩნდეს API და მიკროსერვისების შემუშავების ჩაშენებული ინსტრუმენტარი;
- ✓ სისტემას უნდა გააჩნდეს Developer portal კომპონენტის კასტომიზაციის საშუალება;
- ✓ სისტემას უნდა გააჩნდეს API რესურსებზე წვდომის აუთენტიფიკაციის და ავტორიზაციის საშუალება სხვა და სხვა ავტორიზაციის სქემების საშუალებით. სისტემა ინტეგრირებული უნდა იყოს სააგენტოში არსებული ერთიანი აუთენტიფიკაციის სისტემასთან შემდეგი პროტოკოლების საშუალებით: OpenID Connect, OAuth, Kerberos KDC, SAML2, WS-Federation ;
- ✓ სისტემას უნდა გააჩნდეს სააგენტოს კლიენტების/მომხმარებლების იდენტიფიკაცია მათი IP მისამართების საშუალებით, იხილეთ ქვემოთ მუხლი „სპეციალიზირებული ფუნქციონალი“;
- ✓ სისტემას უნდა გააჩნდეს API გამოყენების/calls ჟურნალირება და ჟურნალირების პარამეტრების განსაზღვრა და მართვა. შესაბამისი, ლოგების შენახვა ინტეგრირებადი უნდა იყოს სააგენტოს არსებულ SIEM სისტემაში, გარკვეული ლოგების გადაგზავნა შესაძლებელი უნდა იყოს სააგენტოს არსებულ Hadoop-ს სისტემაში;
- ✓ სისტემას უნდა გააჩნდეს:
 - API Calls გამოყენების ანალიზის და გაზომვის საშუალება;
 - API პასუხების დროის გაზომვის საშუალება;
 - სხვა და სხვა რეპორტების გენერაციის საშუალება, რაც მოგვცემს API ფუნქციონირების, დატვირთულობის და სუსტი წერტილების აღმოჩენის საშუალებას;
- ✓ API Management სისტემის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს API გამოყენების ბილინგის სისტემის აგება;
- ✓ სისტემა ინტეგრირებული უნდა იყოს სააგენტოს კლიენტების მართვის სისტემასთან, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება API უსაფრთხოების პოლიტიკების, rate-limit, კლიენტების API სერვისებზე დაშვების მართვა;

სპეციალიზირებული ფუნქციონალი წარმადობის მართვის-შეზღუდვის ფუნქციონალი

კლიენტის იდენტიფიცირებისთვის შესაძლებელი უნდა იყოს IP მისამართის (Source IP Address) გამოყენება. დასაშვებია, შემოთავაზებული გადაწყვეტილება შეიცავდეს სხვა ალტერნატიულ მექანიზმებსაც (აუთენტიფიკაციის ერთიანი სისტემა WSO2)

შემსყიდველს უნდა შეეძლოს, თითოეულ კლიენტს განუსაზღვროს წარმადობის შეზღუდვის საკუთარი წესები (შემდგომში „რეგისტრირებული კლიენტი“), ქვემოთ მოყვანილი NI ცხრილის შესაბამისად. იმ კლიენტებისათვის, რომლებზეც ცხრილი არ იქნება განსაზღვრული, უნდა მოქმედებდეს ნაგულისხმევი წესები (ნაგულისხმევი წესი განსაზღვრულია წინამდებარე ტექნიკური დავალებით):

ცხრილი N1

	პერიოდი I (from-to)*	მოთხოვნა წამში I **	პერიოდი II (from-to)*	მოთხოვნა წამში II**	პერიოდი III * (from-to) III *	მოთხოვნა წამში III**
ორშ-პარ						
შაბათი						
კვირა						

**პერიოდი მიუთითებს დროის პერიოდს (დაწყება-დამთავრება) მითითებული დღისთვის, რომელშიც მოქმედია სვეტიტ „მოთხოვნა წამში“ მითითებული შეზღუდვა. პერიოდის განსაზღვრა უნდა შეიძლებოდეს ნახევარი საათის ჯერადი მაჩვენებლების სიზუსტით მაინც (მაგ. 11:30-13:59), დასაშვებია თუმცა არააუცილებელია პერიოდის განსაზღვრა უფრო მეტი სიზუსტითაც (მაგ. 11:29-17:12)*

****„მოთხოვნა წამში“ სვეტი შეიცავს მოთხოვნათა მაქსიმალურ რაოდენობას, რომელსაც შემსყიდველი შეუფერხებლად მოემსახურება შესაბამისი პერიოდისათვის.*

მაგალითი N1:

რეგისტრირებული კლიენტის IP1 =

	პერიოდი I (from-to)	მოთხოვნა წამში I	პერიოდი II (from-to)	მოთხოვნა წამში II	პერიოდი III	მოთხოვნა წამში III
ორშ-პარ	00:00-11:29	7	11:30-13:59	10	14:00-23:59	9
შაბათი	00:00-10:59	4	11:00-13:29	7	13:30-23:59	5
კვირა	00:00-11:59	3	12:00-12:59	5	13:00-23:59	5

რეგისტრირებული კლიენტის IP2 =

	პერიოდი I (from-to)	მოთხოვნა წამში I	პერიოდი II (from-to)	მოთხოვნა წამში II	პერიოდი III	მოთხოვნა წამში III
ორშ-პარ	00:00-11:29	5	11:30-13:59	6	14:00-23:59	7
შაბათი	00:00-10:59	3	11:00-13:29	5	13:30-23:59	4
კვირა	00:00-11:59	2	12:00-12:59	3	13:00-23:59	6

რეგისტრირებული კლიენტის IP3 =

	პერიოდი I (from-to)	მოთხოვნა წამში I	პერიოდი II (from-to)	მოთხოვნა წამში II	პერიოდი III	მოთხოვნა წამში III
ორშ-პარ	00:00-11:29	3	11:30-13:59	4	14:00-23:59	5
შაბათი	00:00-10:59	2	11:00-13:29	3	13:30-23:59	4
კვირა	00:00-11:59	1	12:00-12:59	2	13:00-23:59	3

შენიშვნა: სამაგალითო ცხრილში ინტერვალები მოცემულია როგორც დასაწყისის, ისე დასასრულის ჩათვლით. დასაშვებია, შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტი ითვალისწინებდეს ინტერვალის მითითების ალტერნატიულ მეთოდებს (მაგ. 00:00-დან გასული წუთების ან წამების რაოდენობა)

1. შემოთავაზებულმა შესყიდვის ობიექტმა შემსყიდველს უნდა მისცეს საშუალება, ყავდეს არანაკლებ 2000 რეგისტრირებული კლიენტი. ამ კლიენტებისთვის საკუთარი წესის განსაზღვრა შესაძლებელი უნდა იყოს SOAP ან REST პროგრამული ინტერფეისის გამოყენებით;
2. ნაგულისხმევი წესი უნდა ვრცელდებოდეს ყველა იმ კლიენტზე რომელისთვის განსაზღვრული არ არის საკუთარი წესი (შემდგომში „არარეგისტრირებული კლიენტი“);
3. ნაგულისხმევი წესი საშუალებას უნდა იძლეოდეს, შეიზღუდოს წარმადობა ქვემოთ მოყვანილი მეთოდებით (ორივე მეთოდის მხარდაჭერა აუცილებელია):
 - 3.1 ცალკეული IP მისამართიდან შემოსული მოთხოვნების რაოდენობა. შემსყიდველს საშუალება უნდა ჰქონდეს, წარმადობა შეზღუდოს წამების ან წუთების სიზუსტით (1 მოთხოვნა წამში, 10 მოთხოვნა წუთში);
 - 3.2 ყველა არარეგისტრირებულ კლიენტებისათვის მათი ჯამური წარმადობის შეზღუდვის მართვა, მაგალითად:
 - 3.2.1 სულ კონკრეტულ სერვისზე 100 მოთხოვნა წამში;
 - 3.2.2 მაგრამ ასევე ყოველივე ერთი IP მისამართის წარმადობის შეზღუდვა 1 მოთხოვნა 5 წამში;
4. შემოთავაზებულ გადაწყვეტას უნდა შეეძლოს, აღმოაჩინოს ზედმეტი მოთხოვნების შემოსვლის ფაქტი და დაადგინოს გადაჭარბების შემდეგი რეჟიმები:
 - 4.1 კრიტიკული გადაჭარბება - როდესაც კლიენტი აჭარბებს მისთვის განსაზღვრულ წარმადობას წინასწარ განსაზღვრულზე მეტით. გადაჭარბების ზღვრის დადგენა უნდა შეიძლებოდეს ერთ-ერთი შემდეგი მეთოდით:
 - 4.1.3 გადაჭარბების რაოდენობის მითითებით;
 - 4.1.4 გადაჭარბების მაქსიმალური პროცენტის მითითებით;
 - 4.1.5 დასამუშავებელი მოთხოვნების რიგის (queue) მაქსიმალური ზომის შეზღუდვით, Leaky Bucket ალგორითმით - ამ შემთხვევაში რიგის მაქსიმალური ზომა უნდა განისაზღვრებოდეს ან თითოეული კლიენტისათვის, ან ერთიდაიგივე წარმადობის მქონე ყველა კლიენტისთვის ერთნაირად;
5. შემოთავაზებულ გადაწყვეტილებას უნდა შეეძლოს კრიტიკულ გადაჭარბებაზე რეაგირება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი მეთოდით:
 - 5.1 მოთხოვნის დამუშავებაზე უარის თქმა (Drop Request);
 - 5.2 მოთხოვნის პასუხად HTTP შეცდომის დაბრუნება;
6. შემოთავაზებულ გადაწყვეტილებას უნდა შეეძლოს არაკრიტიკულ გადაჭარბებაზე რეაგირება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი მეთოდით:
 - 6.1 მოთხოვნის დაყოვნება ფიქსირებული ან შემთხვევითი მნიშვნელობით (შემთხვევითი მნიშვნელობის ზღვარის განსაზღვრა უნდა შეეძლოს შემსყიდველს), ან რიგში (queue) ჩაყენება (თუ რიგები მხარდაჭერილია);
 - 6.2 მოთხოვნასთან ერთად აპლიკაციის სერვერისათვის HTTP Header-ის, მოთხოვნის პარამეტრის ან რაიმე სხვა ინდიკატორის გადაცემა, რომელზე დაყრდნობითაც აპლიკაციის სერვერზე შემსყიდველის მიერ, მისივე რესურსებით შექმნილ სპეციალურ გაფართოებას (ფილტრს) შეეძლება მექანიკურად შეანელოს მოთხოვნის დამუშავება ფიქსირებული ან შემთხვევითი მნიშვნელობით);
 - 6.3 თუ გარკვეული, პერიოდის (მაგ. 1 კვირა) განმავლობაში არაკრიტიკული გადაჭარბებათა საერთო რაოდენობა წინასწარ კონფიგურაციით განსაზღვრულ მნიშვნელობას გადააჭარბებს, დაიწვეს კრიტიკული გადაჭარბებების ზღვარი კონკრეტული კლიენტისათვის;

7. სპეციალიზებული ფუნქციონალი მხარდაჭერილი უნდა იყოს შემოთავაზებული გადაწყვეტილების მწარმოებლის მიერ, წინამდებარე მოლაპარაკებათა წარმოების პროცედურის დოკუმენტაციით განსაზღვრული წესით.

დამატებითი მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ

- 1) API Management სისტემა/მწარმოებელი 2016-2018 წლებში უნდა იყოს ლიდერების კვადრანტი Magic Quadrant for Full Life Cycle API Management შეფასებით, რაც დადგინდება ინტერნეტ რესურსის საშუალებით;
- 2) API Management სისტემის მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შეყიდვის ობიექტის მწარმოებლის წერილობითი დადასტურება, რომ მწარმოებელი კომპანია სრულ მხარდაჭერას გაუწევს პრეტენდენტს გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდვის ობიექტი მიწოდებისას. მხარდაჭერის მოქმედების პერიოდში (მხარდაჭერის პერიოდი 1 წელი) მწარმოებლის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკონსულტაციო მომსახურება, რაც დაეხმარება სააგენტოს პასუხისმგებელ თანამშრომლებს მოცემული სისტემის სრულფასოვან დანერგვაში (იხილეთ დამატებითი მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ დანართი #1).
- 3) აუცილებელია, რომ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ყველა ლიცენზია იყოს მუდმივი (თუ მოწოდებულ ლიცენზიას განსაზღვრული აქვს მოქმედების რაიმე ვადა, ამ ვადის გასვლამ არ უნდა გამოიწვიოს შესაბამისი კომპონენტის მუშაობის შეფერხება რაიმე ფორმით);
- 4) პრეტენდენტმა წინადადების წარდგენისას უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების შემდგომ ყოველწლიური მხარდაჭერის მომსახურების ღირებულება. ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმს.
- 5) მომწოდებელმა წინადადებასთან ერთად პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს დემო/პილოტური სისტემის აგება (დემო/პილოტური სისტემის აგება შესაძლებელია პრეტენდენტის გარემოში ან შემსყიდველის გარემოში. მოთხოვნის შემთხვევაში მოლაპარაკებათა წარმოების პროცედურის კომისიის აპარატის წევრის საშუალებით უზრუნველყოფს დემო/პილოტური სისტემის აგებისთვის სასერვერო და საქსელო ინფრასტრუქტურის გამოყოფას). აგებულ დემო/პილოტური სისტემის გარემოში უნდა განხორციელდეს სააგენტოს მხრიდან მიწოდებული ერთი API სერვისის გაზიარება და მისი მართვა შემსყიდველის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (იგულისხმება წარმადობის შეზღუდვის ფუნქციონალი).
- 6) წინადადებასთან ერთად მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული სისტემის დეტალური ტექნიკური აღწერილობა (ქართულ ან ინგლისურ ენაზე).

დამატებითი მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ დანართი #1

ტექნიკური მხარდაჭერა და მომსახურება:

1. აუცილებელია, მიმწოდებელმა უზრუნველყოს სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება შემსყიდველისათვის, შესყიდვის ობიექტის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში
2. მოწოდებული სისტემის საგარანტიო/ტექნიკური მომსახურების მოქმედების პერიოდში, დამატებით ანაზღაურების გარეშე მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:
 - 2.1. სისტემის განახლებების, უსაფრთხოების პაჩების მიღება მათი გამოშვებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში;
 - 2.2. სისტემის ახალი ვერსიების მიღება მათი გამოშვებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში;

3. ტექნიკური მომსახურების პერიოდში, მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკონსულტაციო მომსახურება. საკონსულტაციო მომსახურება გულისხმობს:
 - 3.1. შემსყიდველის მოთხოვნის თანახმად, შემსყიდველის თანამშრომლებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს მოწოდებული სისტემის საწარმო გარემოს ინსტალაცია და კონფიგურაცია;
4. ერთწლიანი ტექნიკური მომსახურების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელოს რეაგირება პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობაში წარმოქმნილი ინციდენტების და პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. რეაგირება შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად დაცული ინტერნეტ კავშირის საშუალებით ან ადგილზე მოსვლით შემსყიდველის ოფისში, მისამართზე ქ. თბილისი, წერეთლის 67ა;
5. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული სისტემა ინციდენტების რეგისტრაციისათვის - გამოყოფილი ელექტრონული ფოსტის მისამართი და Web გვერდი;
6. მომწოდებელს უნდა გააჩნდეს ონლაინ სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება ინციდენტების და პრობლემების რეგისტრაცია და მართვა;
7. აუცილებელია, ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების პერიოდის განმავლობაში, მიმწოდებელმა დააკმაყოფილოს ცხრილი N1 - ით განსაზღვრული პირობები. მომსახურების პირობები დამოკიდებულია შესაბამის პრიორიტეტებზე. ელ-ფოსტის ან მიმწოდებლის/მწარმოებლის ვებ-გვერდის საშუალებით ინციდენტის რეგისტრაციის დროს, განსაზღვრული იქნება შესაბამისი პრიორიტეტულობაც. პრიორიტეტების მატრიცა განსაზღვრულია ცხრილი N2 - ით;
8. საერთო შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ინციდენტების პრიორიტეტულობის შეცვლა;
9. შემსყიდველი იღებს პასუხისმგებლობას შეასრულოს პირველი ხაზის მხარდაჭერა (ინციდენტების შესახებ ინფორმაციის მოგროვება) და ნაწილობრივ მხარდაჭერის მეორე დონე (ისეთი პრობლემის დიაგნოსტიკა და აღმოფხვრა, რომელზეც შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ცოდნა იქნა გადაცემული). მხარდაჭერის უფრო მაღალი დონე წარმოადგენს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას;
10. მომსახურების პირობების დარღვევა გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დაჯარიმებას.
11. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერ აკმაყოფილებს მომსახურების უმაღლეს მოთხოვნებს, მას აქვს უფლება უზრუნველყოს მოტივირებული ახსნა-განმარტების მოწოდება ამის შესახებ. ახსნა-განმარტება უნდა გაკეთდეს მითითებული პირობის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში, გაფართოებული პირობის შეუსრულებლობა არ ჩაითვლება დარღვევად და მიმწოდებელს არ დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა. ინციდენტების აღმოფხვრის პირობები და შესაბამისი ქმედებები განისაზღვრება საერთო შეთანხმებით.

ცხრილი N1 – მხარდაჭერის მომსახურების მიწოდების პირობები

პრიორიტეტი	საპასუხო ქმედების (რეაქცია) დრო	აღმოფხვრის მაქსიმალური დრო	მხარდაჭერის დრო
პრიორიტეტი 1	1 საათი ან ნაკლები	არაუმეტეს 6 საათისა	24 x 7
პრიორიტეტი 2	1 საათი ან ნაკლები	არაუმეტეს 12 საათისა	24 x 7
პრიორიტეტი 3	2 საათი ან ნაკლები	არაუმეტეს 1 სამუშაო დღისა	სამუშაო საათები, ორშაბათი-პარასკევი
პრიორიტეტი 4	4 საათი ან ნაკლები	არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა	სამუშაო საათები, ორშაბათი-პარასკევი

ცხრილი N2. პრიორიტეტების მატრიცა

გავლენა	გადაუდებლობა			
	გადაუდებელი	მაღალი	საშუალო	დაბალი
სააგენტოზე	I პრიორიტეტი	I პრიორიტეტი	II პრიორიტეტი	III პრიორიტეტი
დეპარტამენტზე	I პრიორიტეტი	II პრიორიტეტი	III პრიორიტეტი	IV პრიორიტეტი
ჯგუფზე	II პრიორიტეტი	II პრიორიტეტი	III პრიორიტეტი	IV პრიორიტეტი
მომხმარებელზე	III პრიორიტეტი	III პრიორიტეტი	IV პრიორიტეტი	IV პრიორიტეტი

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი“-ს გენერალური
დირექტორი

ერმილე სულაძე



შეთავაზება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის



თარიღი: 20.06.2019
ძალაშია: 30.09.2019

ფასთა ცხრილი
ფასები მოცემულია ლარში, დ.დ.გ.-ს გარეშე

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი კომპანია, წარმოების ქვეყანა, დასახელება და ვერსია	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი (დ.დ.გ.-ს გარეშე)
1	ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისის (API) მართვის სისტემა	მწარმოებელი: International Business Machines Corporation-IBM წარმოების ქვეყანა: აშშ დასახელება: IBM API Connect Enterprise 700 Processor Value Unit (PVU) License + SW Subscription & Support 12 Months ვერსია: არ მიეთითება მწარმოებლის მიერ * P/N: D1LLSLL	1	283,045.00
წინადადების ღირებულება დ.დ.გ.-ს გარეშე				283,045.00

* - მიწოდებულ იქნება მოწოდების მომენტისთვის უახლესი ვერსია

ხელმძღვანელი /უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი/გვარი)

გენერალური დირექტორი ერმილე სულამე



ხელმოწერა / ბეჭედი



ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE45241-19

26 ივნისი 2019 წელი

თბილისი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი“)

გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869

გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

პრინციპალი: შპს იუ-ჯი-თი (შემდგომში „პრინციპალი“)

პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 204892964

პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, №17ა

ბენეფიციარი: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი“)

ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 202307404

საგარანტო თანხა: 5,660.90 (ხუთი ათას ექვსასამოცი და 90/100) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისის (API) მართვის სისტემის მიწოდების მიზნით იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 5,660.90 (ხუთი ათას ექვსასამოცი და 90/100) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის, გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ზანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული სახით, თუ ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 30 სექტემბერი 2019 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ, თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება/მცირდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის თანხის შემცირების შესახებ წერილობითი შეტყობინებით.

გარანტის მიზნით საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.
წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

